პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 12 (22), კვირა, 2 აპრილი, 1944 წელი. ფასი 1 მან.

**დღეს ნომერში:**

[illegible]
(ლექსი).
— გიორგი გაბუნია — პეტრე ბაგრატიონის ბიუსტი.
— დოც. გ. ხამხარაძე—„რუსი ხალხი“.
— პროფ. აკაკი ფაღავა — ფრანგი დრამატურგის პიესა საქართველოზე.
— ქრონიკა და ინფორმაცია.



## ერთგულ ლენინელს და საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელს მიხეილ ივანეს-ძე კალინინს

ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის პოსტზე დაუღალავი მუშაობის 25 წლისთავის დღეს.

მეოთხედი საუკუნის წინათ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის წინადადებით, საბჭოთა ხალხის ნებით, თქვენ სათავეში ჩაუდექით საბჭოთა რესპუბლიკას. ამ პოსტზე თქვენ იყავით ლენინ-სტალინის პარტიის ნების ერთგული შემსრულებელი. მთელი თქვენი მოღვაწეობა განუხრელად ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის კავშირისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეს. საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის პოსტზე თქვენი მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავი დაემთხვა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე წითელი არმიის დიად გამარჯვებათა ისტორიულ დღეებს. ეს გამარჯვებანი თვალნათლივ გვიჩვენებენ ძალასა და ურყევ ძლიერებას ჩვენი საბჭოთა წყობილებისას, რომლის შექმნასა და განმტკიცებას თქვენ შესწირეთ მეოთხედი საუკუნის დაძაბული შრომა. საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოსადმი 25 წლის მანძილზე თქვენი უცვლელი ხელმძღვანელობა გამოხატავს საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ძალასა და სიმტკიცეს.

ლენინ-სტალინის პარტიისადმი თქვენი ერთგულებით და მშრომელთა ფართო მასებთან უმჭიდროესი კავშირით, თქვენი გულისხმიერებითა და უბრალოებით, ცხოვრების უმდიდრესი გამოცდილებითა და ბოლშევიკური სიბრძნით თქვენ დაიმსახურეთ ყველა ხალხთა ღრმა პატივისცემა და გულწრფელი სიყვარული. თქვენი სახელი სამშობლოს ინტერესებისადმი თავდადებული სამსახურისა და ერთგულების, მისი კეთილდღეობისა და აყვავების სიმბოლო გახდა.

სულით და გულით გისურვებთ თქვენ, ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ, მრავალ წელს სიმხნევესა და ჯანმრთელობას შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის ჩვენი სამშობლოს ხალხთა საკეთილდღეოდ.

**საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

**სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო**

მოსკოვი, კრემლი.

## ამხანაგ კალინინს

ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სახალხო კომისართა საბჭო მხურვალე სალამს გითვლიან თქვენ საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის პოსტზე თქვენი სახელოვანი მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით.

მეოთხედი საუკუნის მანძილზე თქვენ თავდადებით ემსახურებით ლენინ-სტალინის დიად საქმეს, როგორც საბჭოების ქვეყნის უმაღლესი ორგანოს მეთაური, მთელ თქვენს ძალებს, თქვენს დიდ ცოდნას ახმარებთ სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობას, სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის აყვავებას.

მთელი ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი თქვენი სახით ხედავს ურყევ ლენინელს, დიდი სტალინის ერთგულ თანამოსაგრესა და მეგობარს, გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც გულისხმიერად ეკიდება დიად საბჭოთა კავშირში გაერთიანებულ მოძმე რესპუბლიკათა ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის ყოველ საჭიროებასა და მოთხოვნილებას.

თქვენ სამშობლოს ინტერესებისადმი უსაზღვრო ერთგულების მაგალითით აღაფრთოვანებთ საბჭოთა ადამიანებს, რათა თავდადებულად იბრძოლონ გერმანულ ფაშისტ დამპყრობთა განდევნისა და განადგურებისათვის.

სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ, ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი**

**საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

**საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო**

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხანაგ მ. ი. კალინინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობისა და განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ამხანაგ მიხეილ ივანეს-ძე კალინინს საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის პოსტზე მისი მოღვაწეობის 25 წლისთავის დღეს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ნ. შვერნიკი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1944 წ. 29 მარტი.

## ქართველი მხატვარი ფრონტზე

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა ჩვენი გაზეთის რედაქციას გადმოსცა უკრაინის ფრონტზე მყოფ მხატვრის, წითელი არმიის ოფიცრის კონსტანტინე ჭანკვეტაძის სამოცდასამი ნახატი. ეს არის მხატვრის საფრონტო ალბომის ფურცლები, ფანქრითა და ყალმით ნაუცბადევად ნახატები, ზარბაზნების ჭექა-ქუხილში აკვარელითა და ზეთისფერებით ნაწერი ეტიუდები და ესკიზები.

ამ ნახატებში ჩვენს თვალწინ იშლებიან დღევანდელი ომის სურათები. შურისძიების ალმძვრელი გრძნობით არის გადმოცემული უკრაინის სოფლებისა და ქალაქების დარბევა-აწიოკება და განადგურების შემაძრწუნებელი ამბები შემდეგ ნახატებში: „ღამის სტუმრები“, „მოძალადე მდგმური“, „ნაცისტთა მხეცობა“, „დაქცეული კერა“, „აწიოკებულ სოფელში“, „სახრჩობელათა ხეივანი“, „წესრიგი დამყარებულია“, „წყალსაქაჩავი აფეთქებულია“, „მეჩირაღდნე“, „მეჩირაღდნეთა მიერ გადაბუგული სოფელი“, „გადამწვარი ქალაქის შენობების ჩონჩხები“, „უსახლკარონი“, „სოფ. უსპენსკაიას კლუბის ნანგრევები“, „მიერეკებიან“. თვით სათაურებიც ნათლად მეტყველებენ ჩანახატების თემასა და შინაარსზე.

ეს ფურცლები მტერთაგან ნაგვემ-ნაწამები ჩვენი მახლობელი ადამიანების სისხლსა და ცრემლში ამოვლებული ყალმით არის ნახატი. ეს ფურცლები ფაშისტ მტარვალთაგან ცეცხლს მიცემული ჩვენი ქალაქების, დანახშირებული სოფლების ვაებით არის ჩამუქებული. თუ ომამდე მხატვარი კ. ჭანკვეტაძე ვისისა და რამინის სიყვარულს უმღერდა, ამჟამად ის მსჯავრმდებელია, შურისძიების მქადაგებელი, მტერთა შემმუსვრელი ბრძოლისაკენ მომწოდებელი.

პატრიოტი პუბლიცისტის მგზნებარებით, ომის ცეცხლში გარუჯული მხედრის განცდით მონათხრობი ღრმად წვდება ჩვენს სულსა და გულს. ერთხელ ნახავ ამ ფურცლებს და არასოდეს აღარ დაგავიწყდება, ძილშიაც თან ჩაგყვება გადაბუგული სოფლების გაშიშვლებული საკვამურები. ხედავ უდედ-მამოდ მიტოვებულ თითისტოლა ბავშვებს, სახრჩობელაზე აყვანილ პატრიოტებს და ხვდები, თუ რამდენად მრისხანეა შურისძიება, წითელი არმიის მებრძოლის გულში რომ მძვინვარებს, სისხლს რომ აჟრჟოლებს, მხედარს მუხლში ქარიშხალივით რომ ჩასდგომია და დასავლეთისაკენ მიაქროლებს.

ერთ-ერთ ფურცელზე გამოხატულია მშვერავი წითელარმიელის შეჭრა მტრის სანგარში. საბჭოთა მეომარი ვეფხის ნახტომით დაძგერებია გერმანელ ოკუპანტს, ხელები წაუჭერია მისთვის და ახრჩობს. მუხლმოკვეთილი ფრიცი უღონოდ ხელებს ასავსავებს. რამდენიმე დეტალიც: შორს მავთულ ხლართის ღობურები მოსჩანს, რომელთაც ვერ შეუჩერებიათ ჩვენი მამაცი მშვერავი. სანგრის კედელზე მოსჩანს პორნოგრაფიული სურათი. ამ პატარა დეტალითაც კი მხატვარი მსჯავრმდებლობს, — აშკარად აჩენს ოკუპანტების ზნეობრივ გათახსირებას. ამ სურათზე ყოველივე საბჭოთა მებრძოლის სულისკვეთებით და ტემპერამენტით არის გამოთქმული, ყოველივე ცოცხლად და მართლად არის გამოხატული და ამიტომაც ჩვენზე გმირული სიმღერების სულში ჩამწვდომი, გრძნობის შემძვრელი ძალით მოქმედობს.

მეორე ფურცელზე ჩვენ ვხედავთ კუდამოძუებულ, გუდა-ნაბად აკრულ ჰიტლერის უჯაროდ დარჩენილ ერთ ერთ გენერალს, რომელიც თავის ლაშქარს — ფრიცების თვალუწვდენ სასაფლაოს ემშვიდობება.

სხვა ნახატში მხატვარი იმავ უბრუნდება ამ თემას. ახლა ის გვიჩვენებს ჰიტლერის სასოწარკვეთილ გენერალიტეტს, გენერლები გარბიან. მათ დივიზიები გაუწყვიტეს, გზები მოუჭრეს და მდინარეზე გასვლით ჩქარობენ სამშვიდობოში გაასწრონ... ისინი ვერ დაემალებიან საბჭოთა ხალხის რისხვას! კომპოზიციურად ეს ესკიზი ჩინებულად არის მოფიქრებული. თვითეული ფიგურა ტიპის სისავსით არის გამოკვეთილი. ჰიტლერელთა სახეები, მათი მოძრაობა და გარემოც იმდენად მართლად არის გამოხატული, რომ სადღაც ნახულის შთაბეჭდილებას სტოვებენ.

ამ ფურცლებიდან მოგვესმის ომის ქარ-ცეცხლში დავაჟკაცებული მხატვრის ხმა. თუ ომამდე კ. ჭანკვეტაძე სტილიზაციით იყო გატაცებული და ხაზებს ხშირად უცნაურად, არაბუნებრივად და უსიამოვნოდ ამღერებდა, ახლა მის ნახატში არაფერია უცნაური, ახლა იგი არც არაფერს ჩქმალავს და არც არაფერს ალამაზებს. ამ ნახატებით მხატვარმა სადა, ბუნებრივი და მართალი მხატვრობის კილოს მიაგნო და ფრონტზე მებრძოლთა გრძნობის, აზრის და ფიქრის გამომხატველი გახდა.

წინსვლის სიძნელეს, დაბრკოლებათა გადალახვის სიმძაფრეს მხატვარი განსაკუთრებული სიცხადით გადმოგვცემს და მით საბჭოთა მეომრის გულადობასა და სიმამაცეს უმღერის („მავთულ-ღობურებში“, „სივაშზე ტივით ზარბაზნის გადატანა ღამით“ და სხვ.) თანამებრძოლი მხედრის სიამაყით გადმოგვცემს მხატვარი ყოველი საბჭოთა მეომრის სახეს და ფიგურას. ის იცნობს მებრძოლის ცხოვრებას, იცნობს ფრონტს და ამიტომაც დიდად დამაჯერებელია ეს უპრეტენზიო, მაგრამ მაინც მრავალმეტყველი და სულში ჩამწვდომი ნახატები.

კ. ჭანკვეტაძე წითელი არმიის გმირული ბრძოლების მოწმე და მონაწილეა. ის იჩქარის ზოგი რამ იქვე, ფრონტზე, აღბეჭდოს, ნახული და განცდილი ნახატად აქციოს. ეს უქმნის მის ფურცლებს სადღეისოდ ქმედითი, ცოცხალი ფაქტის მნიშვნელობას, სახვალიოდ კი ყოველ ამ ნახატს შერჩება ღირსება, როგორც მრავალმხრივ საინტერესო უტყუარ შემოქმედებითს მასალას.

საფრონტო ნახატების ეს სერია გვაღელვებს წრფელი განცდით, მძაფრი სახეებით, სამამულო ომის დღეების ცოცხალი განსახიერებით.

კონსტანტინე ჭანკვეტაძეს მხატვრობა მტერზე გამარჯვების იარაღად აქვს მომართული. მისი ნახატი მნახველს საბრძოლოდ აღაფრთოვანებს. ფრონტიდან გამოგზავნილ წერილში კ. ჭანკვეტაძე სწერს ქართველ მხატვრებს: „დღეს როდესაც ვერაგი მტერი ჩვენი ხალხის იარაღის სიძლიერემ დააყენა უფსკრულის წინაშე, მთელი ჩვენი ძალების დაძაბვა გვმართებს, რათა მტერი უფსკრულში გადავჩეხოთ... ეს ნეტარი ჟამიც მოახლოვებულია და ამ განცდით გისურვებთ სრულსა და ბრწყინვალე გამარჯვებას, როგორც სამამულო ომის ფრონტზე, აგრეთვე ზურგში და კერძოთ კი მხატვრულ შემოქმედებაში“.

ძლევამოსილი წითელი არმია წარმატებით ანადგურებს ფაშისტ მტარვალთა ბრბოს. უკვე მოახლოვებულია მტრის საბოლოო განადგურების ჟამი. ასეთ პირობებში საბჭოთა ხელოვნების წინაშე ახალი ამოცანები დგება. ამ სასიცოცხლო ინტერესებით სუნთქავს შემოქმედება ჭანკვეტაძისა, მომქმედი არმიის ოფიცრის და ქართველი მხატვრისა.

### გრიგოლ აბაშიძე

## გაზაფხული

[illegible]

ი. სტალინი

[illegible]

მაგრამ შეისმით თუ ესმოდათ ხეტავ
ტყისა და მინდვრის თვალების ფშვნეტამ,
თუ ესმათ ჩიტთა ტკბილი გალობა,
თუ სცადეს მიწა რომ გაენგრიათ?!

ეს გაზაფხული მათი ძეგლია,
მათი სიცოცხლის ჩაუმქრალობა.

### ალექსანდრე ქუთათელი

## მეგობრები

ერთი მეორეს ომში შეელოდა,
როს გადალახეს ბრძოლით ის სერი.
ერთს მთის არწივის მზერა შვენოდა
და მეორეს კი—თვალი ცისფერი.
არად უჩანდათ შეფერხებანი,
მედგრად იბრძოდნენ ძმათშეფიცულნი.
გადაუტეხეს „ვეფხვს“ ხერხემალი,
ჯავშნით შეკრული და შეფიცრული.
ქვემეხს მოჰგლიჯეს ლულა-ხორთუმი
და როს განგმირეს უნდო აფთარი,
ედგა არყის ხე მზისგან მორთული
ოქროთა სასთუმალს, ვით კელაპტარი.
სდუმდა საღამო, არე ტყიანი.
ხეზე შემოჯდა ჩიტი კეთილი,
მაგრამ საზარი და სისხლიანი
მზე ჩადიოდა თავმოკვეთილი.
ცაზე დუმილით დაჯდა პირველი
მწუხრის ვარსკვლავი სახეტანჯული
და მყის გაისმა შვებისმწირველი
ფრთადრდელ მწერთა ხმა, კრიმანჭული.
მწუხრის ვარსკვლავი შესდგა დუნეთა
ცითგან უსმენდა უცხო კილოთა.
მიწა დადუმდა. არ გუგუნებდა,
თითქო დახეულ გულმკერდს ილოკდა.
არ ზუზუნებდა კრაზანა—ტყვია,
სდუმდა დაჭრილი მებრძოლი ორი.
რუსის, ქართველის თვალები ღია
ახლა ვიდოდნენ ვარსკვლავთა შორის.
მაღლა გაშლილა ჭრელკაბიანი
ღამე საამო, გრილი, ფერადი
და ვით მშობელი სახემზიანი
გმირებს დასცქეროდა შორით ბელადი.
წყვილად ელავდნენ ბრძენის თვალები,
გამარჯვებათა გზებით წამყვანი.
გმირებს ახსოვდათ მტრის ნაკვალევი,
სისხლი, დამწვარი ბავშვის აკვანი.
მერე განშორდა იქ ღამე დღესა,
ჩაქრა სინათლე, მიყუჩდა ჩქამიც,
აღარ ისმოდა მებრძოლთა კვნესა
ჩაბნელებული და მუნჯი ღამით.
ორნივ იცავდნენ სამშობლოს მკერდით,
იცავდნენ დედებს, ბავშვებს, საცოლეს.
მიტომ დაუდგეს ერთმანეთის გვერდით
საავადმყოფოში დებმა საწოლი.
მალე გამოიჩნენ ძმათშეფიცულნი.
სხვას გაუშალეს მათი ლოგინი.
მათ ერთი ჰქონდათ გზა გამიზნული
და არ უყვარდათ ბრძოლის ლოდინი.
ერთი მეორეს ომში შეელოდა,
როს გადალახეს ბრძოლით ის სერი.
ერთს მთის არწივის მზერა შვენოდა
და მეორეს კი—თვალი ცისფერი.
მტერი გარეკეს დნესტრის არხისკენ,
ელარუნებს ჩვენი მხედრის ავჟანდი
და ცახცახებდა შიშით არყის ხე,
თავს დაჰნათოდა კვლავ ცის ლაჟვარდი.

## პოეტი იაკუბ კოლასი—საბჭოთა ბელორუსიის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

21-დან 24 მარტამდე [illegible] მიმდინარეობდა ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მე-6 სესიის დღისწესრიგის ერთ-ერთ საკითხად [illegible] ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეთა რიცხვის [illegible] სესიამ ბელორუსიის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ბელორუსიის ცნობილი სახალხო პოეტი იაკუბ კოლასი (კ. მ. მიცკევიჩი).

## უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის კიევში დაბრუნება

[illegible] გაზეთი „იზვესტია“ იუწყება, 25 [illegible]ში დაბრუნდა უკრაინის მეცნიერებათა აკადემია.

[illegible],—სწერს კორესპონდენტი,—სიხარულით ხვდება უკრაინული საბჭოთა კულტურის [illegible]. ამ დღეს დილით უკრაინის დედაქალაქის [illegible] მიადგა სპეციალური მატარებელი, რომლითაც ჩამოვიდნენ უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის წევრები-აკადემიკოსები, წევრ-კორესპონდენტები, მეცნიერებათა დოქტორები, კანდიდატები, სამეცნიერო ტექნიკური პერსონალი აკადემიის ვიცე პრეზიდენტის აკადემიკოს ჩერნიშოვის მეთაურობით.

სრული შემადგენლობით კიევში ჩამოდიან საზოგადოებრივი მეცნიერებათა განყოფილება, ეკონომიკის ისტორიის, არქეოლოგიის, უკრაინული ენისა და ლიტერატურის, ხალხური შემოქმედების ინსტიტუტები. მშობლიურ ქალაქში დაბრუნდნენ აგრეთვე [illegible] მეცნიერებათა და ენერგეტიკის ინსტიტუტები. აპრილის დამდეგისათვის კიევში მოვლენ სხვა ინსტიტუტებსაც, ასე რომ ამ [illegible] უკრაინის აკადემია სრული თავისი შემადგენლობით გააჩაღებს ნორმალურ სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობას.

## მხატის მსახიობები ლენინგრადში

[illegible]ში ჩავიდა მოსკოვის მ. გორკის [illegible] სამხატვრო თეატრის მსახიობთა [illegible] შემადგენლობით: ვ. კაჩა[illegible], [illegible]ნდროვსკაია, კ. ელანსკაია, ბ. ლი[illegible]ანშინი, ს. იაროვი, ს. ბუტიუ[illegible]

[illegible] ლენინგრადს ესტუმრნენ კ. [illegible]ისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს [illegible] მუსიკალური თეატრის მსახიობები: ნ. კემარსკაია და ნ. ტიმჩენკო. [illegible] ხელმძღვანელობს სამხატვრო თეატრის დირექტორი ვ. მესხეთელი.

დიდი წარმატება ხვდა იმ კონცერტებს, რომლებიც მოაწყეს წითელი არმიის სახლში. კონცერტი შესდგა აგრეთვე მცირე ოპერის თეატრის დარბაზში.

მსახიობები კონცერტებს აწყობენ კულტურის სახლებში, აგრეთვე წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის გემებზე.

# სამამულო ომი და ქართული საბჭოთა მწერლობა

## საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მეთოთხმეტე პლენუმი

## ქართული საბჭოთა მწერლობა სამამულო ომის დღეებში

### ირაკლი აბაშიძის მოხსენება *)

ჩვენი პლენუმი, განაცხადა მომხსენებელმა, —მუშაობას იწყებს ჭეშმარიტად ისტორიულ დღეებში, როცა ჩვენი მამაცი წითელი არმია საგაზაფხულო ბრძოლის მეტად მძიმე და რთულ ვითარებაში ანვითარებს გიგანტურ შეტევას და წარმოუდგენლად სწრაფი ტემპებით ანთავისუფლებს გერმანელ დამპყრობელთაგან ჩვენს მოძმე უკრაინას და მოძმე მოლდავიას. უკვე მოახლოვდა ვერაგ მტერზე საბოლოო გამარჯვების ჟამი, მოახლოვდა მტრის სრული განადგურების დღე.

ჩვენდა სამაყოდ უნდა ითქვას, რომ გერმანელ ბარბაროსებზე მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებაში თავისი მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული მთელს საკავშირო საბჭოთა მწერლობას. ჩვენს გულად წითელ არმიასთან, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე საბჭოთა მწერლობა სიტყვითა და კალმით იბრძოდა, რომ მოეახლოვებინა საძულველი მტრის განადგურების საათი.

არასოდეს მწერალს არ უგრძვნია ისეთი პასუხისმგებლობა თავისი ხალხისა და მისი მომავლის წინაშე, როგორიც იგრძნო მან ამ დიდი განსაცდელით აღსავსე სამამულო ომის წლებში. ეს პასუხისმგებლობა, ეს შეგნება მწერლის უდიდესი მოვალეობისა მთელი სიმკვეთრით გამოჩნდა სამამულო ომის წლებში დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებებში. ყოველი ნამდვილი საბჭოთა მწერლის ძირითად შემოქმედებითს ამოცანას წარმოადგენდა—მოეცა შთამაგონებელი სახე იმ უბრალო საბჭოთა ადამიანისა, რომელმაც თავისი მხრებით ზიდა ვერაგ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაჯახების მთელი სიმძიმე. ბევრმა საბჭოთა მწერალმა შესძლო ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა, შექმნა ისეთი ნაწარმოები, რომელიც ასახავს საბჭოთა ადამიანის მორალურ სიძლიერეს, მის მოუდრეკელ სულისკვეთებას, ნაწარმოები, რომელიც თავისი სიმართლით აღელვებს საბჭოთა მკითხველს და რომელსაც ხშირად თავისი ჩანჩით ატარებს ფრონტის მებრძოლი. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს მიაკუთვნებს დღეს საკავშირო ლიტერატურული საზოგადოებრიობა კ. სიმონოვის ლექსებსა და პოემებს, ნარკვევებსა და პიესებს, პ. ანტოკოლსკის პოემას „შვილს“, ვერა ინბერის „პულკოვის მერიდიანს“, ოლგა ბერგოლცის „თებერვლის დღიურებს“, მ. ალიგიერის „ზოიას“ და სხვას.

საბჭოთა ხალხის ურღვევი ნებისყოფა, მისი გოლიათური ამტანობა, რკინისებური სიმტკიცე, ნაციონალური სიამაყის შეგნება, მისი ნათელი და გარკვეული წარმოდგენა იმისა, თუ რატომ და რისთვის იბრძვის საბჭოთა ქვეყანა, — ყველა ეს თვისება საბჭოთა ადამიანისა დიდი ძალით აგრძნობინეს მკითხველს მწერლებმა ვანდა ვასილევსკაიამ („ცისარტყელა“), მ. შოლოხოვმა („ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის“), ლ. სობოლევმა („ზღვის სული“), ვ. გროსმანმა („ხალხი უკვდავია“), ბ. გორბატოვმა („დაუმორჩილებელნი“). როგორც ამხ. ტიხონოვმა თავის მოხსენებაში სთქვა, მთავარი გმირი ამ ნაწარმოებებისა არის სიმართლე. მწერალმა მიაგნო ამ სიმართლეს სწორედ იმიტომ, რომ იგი განუყრელად იყო მეომარ ხალხთან ამ მძიმე განსაცდელის დღეებში.

მომხსენებელი შეეხო სხვა მოძმეთა რესპუბლიკების მწერალთა შემოქმედებას და სთქვა, თუ რამდენად დიდია უკრაინული, ბელორუსული, აზერბაიჯანული, უზბეკური, ყაზახური მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელთა მისწრაფება—მთელი თავიანთი სიდიადით გამოხატონ სიმართლე საბჭოთა ადამიანზე და მის მიერ გადახდილ გიგანტურ ბრძოლაზე.

შემდეგ მომხსენებელმა პლენუმს გააცნო სსრ კავშირის მწერალთა გამგეობის პლენუმზე წამოჭრილი შემოქმედებითი პრობლემები და მათ მიხედვით გაარჩია და შეაფასა ქართველი საბჭოთა მწერლების მიერ სამამულო ომის პერიოდში გამოქვეყნებული ლიტერატურული პროდუქცია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქართველ მწერალთაგან არ დარჩენილა ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო პოეტი, პროზაიკოსი ან სხვა ჟანრის მწერალი, რომელსაც არ ეგრძნოს უმძიმესი შინაგანი მოწოდება—კალმით თუ საქმით დახმარებოდა საბჭოთა ხალხის დიად ბრძოლას გერმანელ დამპყრობლებთან. მაგრამ,—სთქვა მომხსენებელმა, — როგორც მწერალთა კავშირის მიერ მოწყობილ დისკუსიებზე გამოირკვა, ყველაფერი ის, რაც სამამულო ომის წლებში დაიწერა, როდი ადის ისეთ იდეურ და მხატვრულ სიმაღლემდე, რომ დააკმაყოფილოს საბჭოთა მკითხველის, ფრონტის მებრძოლისა და ზურგის მუშაკის მოთხოვნა. ომის პირველ თვეებში განსაკუთრებით ომის პირველ დღეებში ქართველი მწერლების პროდუქცია იყო მეტწილად უფრო დეკლარატიული და მოუმწიფებელი, ვიდრე საბჭოთა ადამიანის დაძაბული შინაგანი ცხოვრების მთელი ძლიერებითა და სიღრმით ამსახველი. რაც უფრო ახლო მიდიან ქართველი მწერლები ფრონტისა და ზურგის ადამიანებთან, რაც უფრო ხშირი და სისტემატურია მწერალთა მივლინება ფრონტის ხაზზე, მით უფრო [illegible] ჩნდება ქართულ მხატვრულ ნაწარმოებში, პროზასა და პოეზიაში, ნარკვევსა და მოთხრობაში, ლირიკულ ლექსსა და პოემაში ის სიმართლე საბჭოთა სინამდვილისა, სამამულო ომის სინამდვილისა, რომლის შესახებაც მწერალთა საკავშირო პლენუმზე ლაპარაკობდა თავის მოხსენებაში ამხ. ნ. ტიხონოვი.

ამ სიმართლის შემცველია, პირველყოვლისა, ლ. ქიაჩელის მოთხრობა, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ს. ჩიქოვანის, ი. მოსაშვილის ნარკვევები, გ. ნატროშვილის ნარკვევები და მოთხრობები, ახალგაზრდა პროზაიკოსის გრ. ჩიქოვანის მოთხრობები და სხვა. მათ ახასიათებს მოვლენების საკუთარი აღქმა, ათვისების სიზუსტე და სიმახვილე.

მეტი მგზნებარებით, მეტი კონკრეტულობით, მეტი სიმართლით აღიჭურვა ომის პირველ თვეების პოეზიასთან შედარებით სამამულო ომის უკანასკნელი თვეების ქართული პოეზია. კავკასიის დაცვისათვის გაჩაღებულმა ბრძოლამ, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი, მისი ფიზიკური არსებობის საკითხი, ქართველი პოეტის ხმას მისცა დიდი დაძაბულობა, სიმწვავე, მოაძებნია შეუბღალავი სიტყვები და ფრაზები, ნათელი, სადა და მეტყველი ენა ქართველი ხალხის მაღალი პატრიოტული სულისკვეთების გადმოსაცემად (გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, გ. ტაბიძე, ალ. აბაშელი, ა. მაშაშვილი, ი. მოსაშვილი, ი. გრიშაშვილი, ვ. გაბესკირია, შ. აფხაიძე, ხ. ვარდოშვილი, გ. კაჭახიძე, ი. ნონეშვილი). განსაკუთრებული სიმახვილით და პოეტური უშუალობით იგრძნობა ქართველი ხალხის პატრიოტული სულისკვეთება, მისი დაძაბული მონაწილეობა სამამულო ომში გრ. აბაშიძის კავკასიის დაცვის თემაზე დაწერილ პოემაში „ძლევის ქედში“, რომლის მხატვრულ ძალას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მან გამოქვეყნებისთანავე მოიპოვა იშვიათი პოპულარობა მკითხველ მასებში. იმავე თემაზე იშვიათი ლირიზმით და გულწრფელობით არის დაწერილი დ. შენგელაიას ახლახან გამოქვეყნებული მოთხრობა „მერხეულა“.

მომხსენებელი ეხება ქართული ლიტერატურის ზრდის სიძნელეებს და, პირველყოვლისა, აღნიშნავს ყველა ჟანრის ქართველ მწერალთა გატაცებას ისტორიული თემატიკით. სამამულო ომის პერიოდში ისტორიულ თემაზე ბევრად უფრო მეტი ეპიური და დრამატიული ნაწარმოები გამოქვეყნდა, ვიდრე თანადროულზე. უკანასკნელ წლებში ისტორიულ თემებზე გამოქვეყნებულ ქართულ ნაწარმოებებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს კ. გამსახურდიას რომანი „დავით აღმაშენებელი“, ს. შანშიაშვილის დრამატიული ნაწარმოები „კრწანისის გმირები“ და სხვ.

ამჟამად „მნათობის“ ფურცლებზე იბეჭდება აკ. ბელიაშვილის მიერ ერეკლე მეორის ეპოქაზე დაწერილი რომანი „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“, სადაც ავტორმა მთავარ გმირად გამოიყვანა არა ერეკლე, არამედ პოეტი გაბაშვილი და მისი ცხოვრების მხატვრული წარმოსახვით სწორად წარმოგვიდგინა ეპოქის ხასიათი, ქართველი ხალხის მატერიალური და იდეურ-მორალური მდგომარეობა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა.

შემდეგ უნდა აღინიშნოს სულ ახლახან გამოქვეყნებული ისტორიული მოთხრობა ნიკო ლორთქიფანიძისა „ტყვედ ყოფილის დაბრუნება“, რომელიც დაწერილია მდიდარი და მშვენიერი ენით, ეპიური სიდინჯით. მასში მწერალი მოგვითხრობს წარსულ ცხოვრების დამახასიათებელი მოვლენების შესახებ. სამამულო ომის წლებშივე დაიწერა ქეთევან ირემაძის ისტორიული რომანი „ქეთევანი“, რომელშიაც ავტორს უცდია აესახა ქართველი ქალის გმირული სახე.

დაუბრუნდა რა თანადროულობის თემებზე დაწერილ პროზაული ნაწარმოებების ანალიზს, მომხსენებელმა აღნიშნა ამ ნაწარმოებთა დიდი ნაწილის ერთგვარი პრიმიტიულობა იმ მხრით, რომ მათში არა ჩანს მთავარ პერსონაჟთა ხასიათის სირთულე და ის მაღალი ინტელექტუალური დონე, რომელიც თანამედროვე ქართველ საბჭოთა ადამიანს ახასიათებს. თანამედროვე ქართულ პროზაულ და დრამატიულ ნაწარმოებთა მთავარ პერსონაჟებად ჯერ-ჯერობით რჩებიან მარტივი ფსიქოლოგიის ადამიანები. ძალიან იშვიათად ვხვდავთ მთავარ გმირებად საბჭოთა ხელისუფლების დროს სახელმწიფო მოღვაწეებად და დიდი კულტურის შემოქმედ ადამიანებად ქცეულ მაღალი ინტელექტით აღჭურვილ ადამიანებს. დროა უკვე ქართველმა საბჭოთა მწერალმა დახატოს ქართველი ადამიანი, რომელსაც დღეს იმდენი მორალური და ინტელექტუალური ძალა მოეპოვება, რომ შესწევს უნარი შექმნას ახალი ტიპის უკლასო საზოგადოება, ახალი ტიპის სახელმწიფო, თანაც დაიცვას იგი ბარბაროს დამპყრობელთაგან.

უკანასკნელ ხანებში შექმნილი მთელი რიგი ნაწარმოებების ძირითადი ნაკლია ადამიანური გრძნობების ზერელე გამოსახვა, რაც ამცირებს ნაწარმოების ხარისხს. ეს ნაკლი ახასიათებს მაგ. ს. თავაძის, ი. ლისაშვილის, დ. სულიაშვილის მოთხრობებს.

მომხსენებელი შეჩერდა თანადროული ქართული ლექსის საკითხზე, ქართული ლექსის ფორმის პრობლემებზე. აღნიშნა, რომ ქართულ ლექსში დამკვიდრდა ერთგვარი ტრაფარეტი, ერთგვარი ავტომატიზმი. იშვიათად თუ ვინმე მუშაობს სიახლის შესატანად ქართულ პოეტურ მეტყველებაში.

დასასრულ მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა სამამულო ომის პერიოდში დაწერილ საბავშვო წიგნებზე და დაასახელა არა ერთი და ორი ისეთი ნაწარმოები, რომლებიც დაწერილია გულგრილად, უპასუხისმგებლოდ და რომლებიც ყალბ წარმოდგენას აძლევენ ნორჩ მკითხველს სამამულო ომზე და ომის მონაწილე გმირ ადამიანებზე.

მომხსენებლის დასკვნით სამამულო ომის წლებში შექმნილ ლიტერატურული პროდუქციის ზემოაღნიშნულ სისუსტესა და ნაკლში უთუოდ ერთგვარი ბრალი მიუძღვის ქართულ საბჭოთა კრიტიკას, რომელიც ყოველთვის როდი იყო პრინციპული, გაბედული, ოპერატიული და სწორი ორიენტაციის მიმცემი მწერლისა და მკითხველისათვის.

*) მოხსენების და მოკამათეთა გამოსვლის მთავარი მომენტები იბეჭდება შემოკლებით. კამათის დასასრული შემდეგ ნომერში.

## კამათი ამხ. ირაკლი აბაშიძის მოხსენების გარშემო

### შალვა აფხაიძე

### კონკრეტულობისა და სისადავისათვის

ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ სამამულო ომის წლებში რომ საგრძნობი წარმატება მოიპოვა, ეს საკამათო არ არის. იგი ომით სუნთქავს და ცოცხლობს, ჩვენს სახელოვან ჯარს მხარში უდგას. ჩვენმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა შექმნეს რა პატრიოტული პათოსით გამსჭვალული, მხატვრულად საკმაოდ ძლიერი ნაწარმოებები, ღირსეულად დაიცვეს ქართული კლასიკური მწერლობის ბრწყინვალე ტრადიციები.

მაგრამ ჩვენი პლენუმის დანიშნულება იმდენად ამ მიღწევებზე შეჩერება არ არის, რამდენადაც გამორკვევა იმ ნაკლისა და მტკივნეული მხარეებისა, რომელნიც აფერხებენ ჩვენი პოეზიისა და პროზის წინსვლას.

ქართული თანამედროვე ლექსის ერთ-ერთი ასეთი სუსტი მხარეა მხატვრულ საშუალებათა ნიველირება, ერთგვარი მომაბეზრებელი ერთფეროვნება. სხვადასხვა პოეტების ლექსები ძალიან წააგავან ერთმანეთს, მათ არა აქვთ ინდივიდუალობა, საკუთარი მხატვრული იერი. სამამულო ომზე დაწერილ უამრავ ლექსიდან ბევრი როდი გამოირჩევა თავისი კონკრეტულობით, უბრალოებით, ფორმის გამჭვირვალობით. ლექსების ერთფეროვნება იქამდე მიდის, რომ შეიძლება გმირისადმი მიძღვნილ რომელიმე ლექსს მისამართი თამამად გამოუცვალოთ, მას სხვა გმირის სახელწოდება მივსცეთ, ამით ლექსის ფაქტურაში არაფერი შეიცვლება.

სამამულო ომზე დაწერილ ლექსების რიგს ერთის მხრით მხატვრული ფორმის სრული უგულებელყოფა ემჩნევა, შიშველი პუბლიცისტიკის დაღი აზის; ლექსების მეორე უფრო მრავალრიცხოვან რიგს, პირიქით, სახეების ესთეტიზაცია და ბუნდოვანება ახასიათებს. ამ ლექსებში პოეტური სახეები და მეტაფორები არა რეალური, არამედ, განყენებული არიან. ეს ხანდისხან ემჩნევა ისეთი მოწინავე და საუკეთესო პოეტების ლექსებსაც კი, როგორიც არიან გალაქტიონ ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, ალიო მაშაშვილი, კ. კალაძე, ა. აბაშელი, ვ. გაბესკირია და სხვ.

შემდეგ ორატორი ჩერდება დღევანდელი ქართული ლექსის ხალხურობის საკითხზე, მოჰყავს ლექსის ხალხურობის ნიმუშად აკაკის „განთიადი“ და ვაჟას „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ და დაასკვნის, რომ მოწინავე, ხალხისთვის მისაწვდომ და გასაგებ იდეების გარდა ლექსს უნდა ჰქონდეს ნაციონალური კოლორიტი, ნაციონალური ინვენტარი და ფაქტურა.

სამამულო ომის დღეებში ნაყოფიერად მუშაობდნენ ჩვენი პროზაიკოსები, გამოჩნდნენ ახალი ძალები,—ქ. ირემაძე, გ. ჩიქოვანი, ნ. დოლიძე და სხვ. მაგრამ ომის თემაზე დაწერილ ბევრ ბელეტრისტულ ნაწარმოებს აკლია ფრონტის, საბჭოთა მებრძოლის ცხოვრების ნამდვილი ცოდნა და კონკრეტობა, ზოგი მათგანი მშრალი პლაკატია და სხვა არაფერი.

სიტყვის დასასრულს ორატორი შეჩერდა მხატვრული კრიტიკის მდგომარეობაზე და მიუთითა ჩვენი კრიტიკის ზოგიერთ ნაკლოვანებებზე.

### კარმენ ლორია

### მოვითხოვთ მეტ ყურადღებას

სამამულო ომის დღეებში აჭარის მწერლები მთელი შესაძლებლობით მუშაობენ ფრონტისა და ზურგის დასახმარებლად. ჩვენმა ორგანიზაციამ ფრონტს მისცა იარაღით მებრძოლი ახალგაზრდა მწერალი ჯარისკაცები შ. იოსელიანი, მამუდ ვარშანიძე, დომენტი გოგიტიძე, ადამ იაშვილი და სხვ., და იმდენად აამაღლა შემოქმედებითი აქტივობა, რომ გამოსცა ოთხი საკმაოდ მოზრდილი ლიტერატურული კრებული ფრონტისა და ზურგის მებრძოლებზე დაწერილ ნაწარმოებებისა, ამასთან მოაგვარა სისტემატური ლიტერატურული გასვლები სამხედრო ნაწილებსა, ჰოსპიტლებსა, საწარმოებსა, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში.

აღვნიშნავთ რა ამ საერთო წინსვლას, არ შეიძლება არ შევჩერდეთ აჭარელ მწერალთა ნაწარმოებების ნაკლზედაც. ეს არის სქემატიურობა და განყენებული ხასიათი, ფრონტისა და მებრძოლების შესახებ დაწერილ ნაწარმოებებისა; ამ მხრივ აუცილებლად რადიკალური გარდატეხა უნდა მოვახდინოთ. აჭარელი მწერლების შემოქმედებითს ზრდას უეჭველად ხელს უშლის ის გარემოება, რომ მთელი წლების მანძილზე მათი ნამუშევარი კრიტიკისა და ლიტერატურული საზოგადოებრივობის მიერ განუხილავი და შეუფასებელი რჩება.

### ვანო. წულუკიძე

### მხატვრული სიმართლის შესახებ

ჩვენი მწერლების დიდმა ნაწილმა თავისი კალმით მონაწილეობა მიიღო სამამულო ომში, თითქმის ყველამ დასწერა ნაწარმოები, მაგრამ ყველამ როდი მიაღწია მხატვრულ სიმართლეს. ჩვენი დროის მხატვრულ დოკუმენტებად დარჩებიან ლეო ქიაჩელის, კ. ლორთქიფანიძის, დ. შენგელაიას („მერხეულა“), ი. მოსაშვილის, ი. ბელიაშვილის, გ. ნატროშვილის, ალ. ჭეიშვილის, გრ. ჩიქოვანის მოთხრობები და ნარკვევები. მაგრამ ყველა ამ ავტორს და ყველა მათ ნაწარმოებებს თანაბარი მხატვრული ძალა როდი აქვთ. პირველყოვლისა, გაიმარჯვა იმ მწერლის ნაწარმოებმა, რომელსაც აღმოაჩნდა საკუთარი აღქმა მოვლენებისა, ათვისების სიზუსტე, სიმართლე ადამიანისა, რომელმაც მთელი სიმწვავით განიცადა სიმწარე და სიხარული სამამულო ომის ამბებისა. პირადად განცდილმა ომის პერიპეტიებმა, პირადმა მღელვარებამ მოაძებნია, მაგ. გიორგი ნატროშვილს გაუცვეთელი და შეუბღალავი სიტყვები, ნათელი, სადა და მეტყველი ფრაზა იმისათვის, რომ მთელი სიმძაფრით გადმოეცა ფრონტის სინამდვილე. ლ. ქიაჩელის „მამასა და შვილში“ განსაკუთრებით ძლიერი და ემოციურია ის მომენტები, რომლებიც მამის სულიერ ვითარებას გვიხატავენ, ის ადგილები, სადაც აშკარად ჩანს ბიოგრაფიული მომენტი ავტორისა, როგორც 1905 წლის მოძრაობის უშუალო მონაწილისა და აღმქმელისა. ზემოხსენებული მწერლების დიდი ნაწილის ნარკვევებსა და მოთხრობებში იმდენად საკუთარი განცდა არა ჩანს, რამდენად ავტორთა ემოციური დამოკიდებულება ფრონტისა და ზურგის გმირი ადამიანებისადმი.

შეეხო რა სამამულო ომის დროის ქართულ საბჭოთა პოეზიას, ორატორმა აღნიშნა, რომ რამდენიმე ლექსმა ისეთი პოპულარობა მოიპოვა და ხალხურობის იმ დონეზე ავიდა, რომ იბადება საჭიროება დაიწეროს სპეციალური კრიტიკული ნარკვევი იმის გამოსარკვევად, თუ რა მხატვრული ხერხებით მიაღწიეს ამ ლექსების ავტორებმა მათ მაღალ მხატვრულობას. საერთოდ კი, თანამედროვე ქართული საბჭოთა პოეზიისათვის ტექნიკურ, ვერსიფიკატორულ დაოსტატებასთან ერთად დამახასიათებელია დაშტამპული ლექსიკით, გამოფიტული ფრაზებით, რიტორიული ცნებებით აზროვნება.

პოეტების ძალიან მცირე ნაწილს, მათ შორის, პირველ ყოვლისა, ს. ჩიქოვანს ემჩნევა გარკვეული მისწრაფება — გაახალგაზრდაოს პოეტური ფრაზეოლოგია, დაუბრუნოს სინედლე სიტყვას, მისცეს სიახლე ფრაზის ინტონაციას.

შეჩერდა რა კრიტიკის საკითხებზე, ორატორმა აღნიშნა, რომ კრიტიკის განვითარებას ერთის მხრივ აბრკოლებს ის გარემოება, რომ ლიტერატურული საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი მხარს არ უჭერს და არ ეგუება პრინციპულ, გაბედულ კრიტიკას, ხოლო მეორეს მხრივ არის შემთხვევები, როცა იგი ესარჩლება და იწონებს ისეთ ნაწარმოებს, რომელიც ლიტერატურის გარეშე სდგას. ეს უკანასკნელი გარემოება კრიტიკოსს უკარგავს ხალისს, რომ მკაცრად გაარჩიოს ნაწარმოები, რომელიც მხატვრულად მდარეა, მაგრამ იმდენი ღირსება მაინც მოეპოვება, რომ ლიტერატურულ ფაქტად ჩაითვალოს.

### გერონტი ქიქოძე

### მეტი სიახლოვე ცხოვრებასთან

საბჭოთა მწერლებს ჩინებული პირობები აქვთ შემოქმედებისათვის, რაც XIX საუკუნის მწერლებს არ გააჩნდათ. მიუხედავად ამისა მათ მაინც ვერ შექმნეს ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც შეიძლება მხატვრული თვალსაზრისით გვერდში ამოვუყენოთ XIX საუკუნის კლასიკოსთა ნაწარმოებებს. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენ მჭიდრო კავშირი არა გვაქვს ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრებასთან და ხალხის ფართო ფენებს მხოლოდ ხანმოკლე მივლინებათა შემწეობით ვეცნობით. ჩვენი შემოქმედებითი დღეები უმეტეს ნაწილად თბილისში მიმდინარეობენ.

ჩვენს ლიტერატურულ ოჯახს გამოხალისება სჭირდება, უფრო მომქმედი და ნიჭიერი ელემენტების წინ წამოწევა, უფრო ორგანიული დაკავშირება ჩვენი ხალხის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ეს არის აუცილებელი იმისათვის, რომ მწერალმა კონკრეტულად დაინახოს და ასახოს საგნები, ამასთან საგნების ასახვას გულწრფელად მიუდგეს, უშუალოდ, ინტიმიურად ისე, რომ მან შემოქმედებაში თავისი პიროვნება გამოხატოს, თავისი ორიგინალური მიდგომა ადამიანებისა და სამყაროსადმი.

### აკაკი გაწერელია

### უფერულობისა და ზერელობის წინააღმდეგ

ომმა შესცვალა მთელი ჩვენი ცხოვრება, თითოეული ჩვენგანის სულისკვეთება და განწყობილება, ფიქრები და ემოციები. ამ დიდ სულიერ ძვრებს უნდა ვპოულობდეთ ჩვენ თანამედროვე საბჭოთა პოეზიაში და მხატვრულ პროზაში. მაგრამ იმ მრავალ ნაწარმოებს შორის, რომელიც დღეს იწერება და ქვეყნდება, მხოლოდ რამდენიმეს თუ დავასახელებთ ისეთს, რომელიც ჩვენს შეგნებას რაზმავდეს ახალი განწყობილებით. ხშირ შემთხვევაში ჩვენ ვკითხულობთ სხვადასხვა თემაზე, ერთი ინტონაციით დაწერილს, არაჩვეულებრივად უფერულ ლექსს, რომელიც გაუპიროვნებულია. არც ერთი ლექსი არ არის საჭირო, თუ ის არ არის დაბადებული, როგორც შინაგანი აუცილებლობა. პატარა კრებული დიდი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისა იმიტომ არის მშვენივრი მე-19 საუკუნის ქართული პოეზიისა, რომ მასში მოთავსებული ყოველი ლექსი დაწერილია აუცილებელი შინაგანი მოთხოვნილებით და ღრმა ინტიმურობით.

იგივე ნაკლი აუფერულებს თანამედროვე ქართულ პროზას. აქაც ხშირად ტრაფარეტი, სიუჟეტის შენების იგივე გაცვეთილი ხერხები ბატონობს. ბევრი ისეთი პროზაული ნაწარმოები ქვეყნდება, რომელიც ამბის თხრობის მხრით თუ შეიცავს რაიმე სიახლეს, თორემ მხატვრულობის მხრივ ნაკლებ ღირებულებას წარმოადგენს. კრიტიკის დანიშნულებაა დაეხმაროს ჩვენს პროზაიკოსებს. მაგრამ კრიტიკის მუშაობისათვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არ არის გამომუშავებული საერთოდ ისეთი სავალდებულო კრიტერიუმი, რომელიც თითოეული ნაწარმოების ნაკლისა, თუ ღირსების გამომჟღავნების უტყუარ საშუალებას იძლეოდეს. არის შეხედულება, მაგალითად, რომ ყოველ მწერალს ევალება დახატოს ტიპები. მაგრამ იყვნენ მწერლები, რომლებიც ტიპებს არ ჰქმნიდნენ და ხატავდნენ ხასიათებს. ტოლსტოის რომანების პერსონაჟები არიან არა ტიპები, არამედ ხასიათები. ტოლსტოი თვითონ ამბობდა, მე მაინტერესებს დავხატო არა ტიპი, არამედ ერთი სულიერი მდგომარეობიდან მეორეში გარდამავალი ადამიანიო. კრიტიკოსი ჯერ თვითონ უნდა გაერკვიოს მხატვრული შემოქმედების ამ რთულ პრობლემებში და შემდეგ დაიწყოს მხატვრულ ნაწარმოებზე ლაპარაკი.

### გიორგი გულია

### აფხაზი მწერლების მთავარი თემა

სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე აფხაზმა მწერლებმა გარდაქმნეს თავიანთი შემოქმედებითი მუშაობა სამამულო ომის მოთხოვნების შესაბამისად, დასწერეს მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც უპასუხებენ ჩვენი მეომარი ხალხის სულისკვეთებასა და განწყობილებას. სამამულო ომის პერიოდში აქტიურად მოქმედ მწერალთაგან, პირველყოვლისა, აღსანიშნავნი არიან მხცოვანი მწერალი დიმიტრი გულია ბ. შინკუბა, ლ. კვიციინია, კ. აგუმაა, ხოლო პროზაიკოსებიდან—იგივე დ. გულია, ი. პაპასკირი, ს. კუჩბერია და სხვები.

მთავარ თემას აფხაზი პოეტებისა და პროზაიკოსებისას წარმოადგენს ბრძოლა და შრომა აფხაზი ხალხის სასიქადულო შვილებისა, რომლებმაც საქვეყნოდ ასახელეს თავიანთი თავი და თავიანთი ქვეყანა.

უკეთებს რა მიმოხილვას აფხაზი მწერლების მუშაობას, დრამატურგიისა, კრიტიკისა და მხატვრული თარგმნის სფეროში, ამხ გულია, დასასრულ, ეკამათება ამხ. გერონტი ქიქოძეს, რომლის შეხედულება მწერლის როლზე და ადგილზე თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მიაჩნია შემცდარად და უმართებულოდ.

### გ. ფავლოხოვი

### ოსეთის მებრძოლი მწერალი—ჯარისკაცები

სამხრეთ-ოსეთის მწერლობას აქვს საფუძველი იამაყოს იმით, რომ ბევრი მისი წარმომადგენელი მათ შორის ბეკოევი, ასაევი, გერსამ ჩოჩიევი ომის პირველ დღეებიდანვე იბრძოდნენ ფრონტზე და როგორც ღირსეული ჯარისკაცები დაჯილდოვებულ იქნენ ორდენებით. ამავე დროს ისინი არ ივიწყებდნენ მწერლის მოვალეობასაც და შექმნეს საინტერესო ნაწარმოებები— დასწერეს ოსი ხალხის სასიქადულო გმირი შვილების: ოსტაევის, ჩოჩიევის, კობლოვის, ცხოვრებოვის, კოზაევის გმირული თავგადასავლის ამსახველი მოთხრობები და ნარკვევები.

სამამულო ომის მონაწილე რ. ჩოჩიევმა გამოსცა მოთხრობებისა და ნოველების კრებული ჩვენი მებრძოლების სიმტკიცითა და ვაჟკაცობით შთაგონებული. მანვე სცადა ახალი ჟანრი ზღაპარი—პამფლეტი, რომლითაც მწარედ დასცინა ფაშისტ ყაჩაღების მესვეურებს. სამამულო ომის მონაწილე პოეტმა ხარიტონ პლიევმა გამოაქვეყნა მთელი ციკლი ლირიკული ლექსებისა და ბალადებისა, რომლებიც მკითხველს მთელი სიღრმით განაცდევინებენ საბჭოთა ადამიანების მოუდრეკელ საბრძოლო სულისკვეთებას.

სამამულო ომის დროს გამოვიდნენ ახალი ძალებიც. მშვენიერი ლექსები დასწერეს მტრის ვერაგობასა და ჩვენი ხალხის უძლეველობაზე ომის მონაწილე ახალგაზრდებმა თედორი გაგლოევმა. რევაზ ასაევმა და პოეტმა ქალმა ნინა გალავანოვამ. რომელმაც ლირიკული მღელვარებით დაგვიხატა საბჭოთა ქალის მონაწილეობა ბრძოლაში და ზურგის მუშაობაში.

დასასრულ ორატორი საჭიროდ სთვლის ოსი და ქართველი მწერლების შემოქმედებითი დაახლოვებისათვის კვლავ განახლდეს ოსურიდან ქართულ ენაზე და ქართულიდან ოსურ ენაზე თარგმნა იმ ნაწარმოებებისა, რომლებმაც მკითხველის ყურადღება მიიქციეს.

### ალექსანდრე აბაშელი

### ვიდგეთ ეპოქის მოწოდების სიმაღლეზე

სამამულო ომის წლებში როგორც პოეზიასა, ისე პროზაში იმდენი და ისეთი ხარისხის ნაწარმოები შეიქმნა, რომ ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებრიობას მართებდა არა მხოლოდ ამ პლენუმზე, არამედ საგანგებოდ მოწყობილ დისკუსიებზე გაერჩია და შეეფასებინა ისინი. ცხადია, ჩვენ ვერ უსწორდებით ჩვენს დიადს ცხოვრებას, ჩვენი ხალხის გოლიათურ ბრძოლას და მათ მიერ წამოჭრილ ამოცანებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენი მწერლობა წინ არ მიდის და ღირსეულს არაფერსა ჰქმნის.

სწორი არ არის ჩვენი ეპოქის მწერლების მე-19 საუკუნის ქართულ კორიფეებთან შედარება; ილია, აკაკი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა დღეს ბუმბერაზებად ჩანან იმიტომ, რომ ისინი თავიანთი ეპოქის სიმაღლეზე იდგნენ. ჩვენი ეპოქა იმდენად გრანდიოზულია და ჩვენი ცხოვრების განვითარების ტემპები იმდენად სწრაფია, რომ ამ ეპოქის სიმაღლეზე დადგომა და მისთვის თვალის გასწორება უეჭველია გაუჭირდებოდათ მე-19 საუკუნის დიდ ქართველ მწერლებსაც.

ჩვენი მწერლობის წინაშე ფრიად რთული და დიდი ამოცანები სდგას, მაგრამ ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა ხალხი იმით არის შესანიშნავი და განუმეორებელი, რომ სიძნელეებს არ უშინდება.

ჩვენი წითელი არმიის წინაშე, რომელიც ჩვენსავით უბრალო ადამიანებისაგან შესდგება, ისტორიამ უდიდესი ამოცანა დასახა — ფაშისტური გერმანიის განადგურება. ამ ამოცანის წინაშე მას უკან არ დაუხევია და ჩვენ ვხედავთ თუ რა ბრწყინვალედ სძლევს იგი ამ ამოცანას, თუ როგორ იმარჯვებს იგი ძლიერ მტერზე. ამ დიდ ომში იმარჯვებს სტალინის სტრატეგიული გენია და წითელი არმიის უმაგალითო სიმამაცე. ამ დიდ ისტორიულ საქმეთა ასახვა უნდა შესძლოს საბჭოთა მწერლობამ, ჩვენმა მწერლობამ, რომელიც შთაგონებულია დიდი სტალინის გენიით, გამხნევებულია მისი დაუღალავი ზრუნვით. ეს არის ჩვენი წინსვლის, ჩვენი მწერლობის აღორძინების უძლიერესი სტიმული.

### დემნა შენგელაია

### მწერალთა კავშირის მუშაობის შესახებ

ამ პლენუმზე ბევრ ისეთ საკითხზე არის კამათი, რომლის განხილვასაც საჭიროება არ მოითხოვს. სიუჟეტისა და ფაბულის საკითხი, ისტორიული პრობლემები, მწერლის ლაბორატორიული მუშაობის საკითხები საგანგებო შემოქმედებით თათბირზე უნდა ირჩეოდეს და არა ასეთს პლენუმზე.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი თავს ვერ მოიწონებს იმით, რომ იგი ხელს უწყობდა მწერალთა მასის იდეურ-თეორეტიულ ამაღლებას, მისი აზროვნების აქტივიზაციას, ინტელექტუალურად მის ისე მომზადებას, რომ იგი სათანადოთ შეიარაღებული შეხვედროდა იმ ამოცანებს, რომლებიც მწერლობის წინაშე დააყენა დიდმა სამამულო ომმა, კერძოთ კავკასიის დაცვისათვის ბრძოლამ, რომლითაც სწყდებოდა ქართველი ხალხის ყოფნაარყოფნის საკითხი.

ღრმა დაინტერესება ლიტერატურის სასიცოცხლო საკითხებით ჯერ კიდევ ბევრ ჩვენ მწერალს არ ახასიათებს, სამწუხაროთ ეს უფრო მეტად ახალგაზრდებზე ითქმის. რაც უეჭველად აიხსნება იმით, რომ პრეზიდიუმი იჩენდა ერთგვარ გულგრილობას ჩვენი მწერლობის პრაქტიკული საკითხების მოგვარებაში.

იმის გამო, რომ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ ვერ შექმნა საღი ატმოსფერა პრინციპული კრიტიკისათვის, ფეხი მოიკიდა წუნმა და ხალტურამ მხატვრული შემოქმედების თითქმის ყველა ჟანრში. ფეხი მოიკიდა მეტად რთული პრობლემების უაღრესად იოლი და ზერელე გადაწყვეტის პრაქტიკამ ჩვენს ისტორიულ რომანებსა და დრამებში.

მოკლეთ შეეხო რა ისტორიულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებებს, ორატორმა სთქვა: ჩემთვის მთავარ საკითხად რჩება ნამდვილი მხატვრული ნაწარმოების დაწერა, ჩვენი დროის მღელვარე ამბებზეო; ჩვენ უნდა დავანახვოთ ჩვენს მეომარს, გოლიათ ხალხს თავისი სახე ჩვენს შემოქმედებაში. უდიდესი სირცხვილი იქნება ჩვენთვის, თუ ომიდან დაბრუნებული მებრძოლები, რომლებიც სისხლს ღვრიდნენ, რომ დაეცვათ ჩვენი არსებობა და ჩვენი კულტურა, გვკითხავენ—რა გააკეთეთ თქვენ ამ კულტურისათვის, ხოლო ჩვენ კი ვერაფერი ვუპასუხოთ. დავძაბოთ მთელი ჩვენი შესაძლებლობა რომ ასეთ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ.

### შალვა დადიანი

### მეტი გულისყური დრამატურგიას

მომხსენებელმა ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი ჟანრი—დრამატურგია სრულიად გამოსტოვა. თითქოს ამ მხრივ არაფერი გაკეთებულიყოს და ცარიელ ადგილთან გვქონდეს საქმე. ესეთი უყურადღებობა და ერთგვარი გულგრილობა დრამატურგიისადმი შემთხვევითი არ არის.

საერთოდ მწერლები დრამატურგიას შორეულ მეზობლად სთვლიან და ნაკლებად აინტერესებთ მისი ბედიღბალი. მხოლოდ ისეთს ადამიანს, რომელიც სრულიად არ იცნობს ჩვენს ქართულ საბჭოთა დრამატურგიას, შეუძლიან სთქვას, რომ იგი წინ არ წასულა მე-19 საუკუნის დრამატურგიასთან შედარებით. ჩვენ გვყავან დრამატურგები, მაგალითად პ. კაკაბაძე, ს. შანშიაშვილი და სხვ., რომლებიც თავიანთ წინაპრებს არაფრით არ ჩამორჩებიან. რა უყოთ რომ იგი ჯერ იმ სიმაღლეზე არ არის, რომ თვალი გაუსწოროს ჩვენს ეპოქას, ბოლომდე მისწვდეს მის სიდიადეს და სიმაღლეს. მე-20 საუკუნის ქართულ დრამატურგიას ცხადია აქვს ნაკლი, მაგრამ ჩვენც სწორედ აქ იმისთვის ვიკრიბებით, რომ გამოვნახოთ გზა და საშუალება მისი მოწოდების სიმაღლეზე ასაყვანად.

საჭიროა პირველყოვლისა მოხდეს რადიკალური გარდატეხა დრამატურგებისა და მათი ნამუშევრისადმი დამოკიდებულებაში. დრამატიული ნაწარმოებები ცალკე წიგნებადაც უნდა იცემოდეს და ჟურნალებშიც უნდა იბეჭდებოდეს. მეტი მორიდებითა და პატივისცემით უნდა ეკიდებოდნენ აგრეთვე თეატრი, დამდგმელი რეჟისორი და შემსრულებელი მსახიობი ნიჭიერად დაწერილ ყოველ დრამატიულ ნაწარმოებებს. ქართველ მწერალთა საერთო ოჯახში დრამატურგი უნდა იყოს არა შორეული მეზობელი, არამედ ამ ოჯახის შვილი-შვილთაგანი.

### გივი გაჩეჩილაძე

### მხატვრული თარგმანების საკითხებზე

დიდი სამამულო ომი და მისი ახლანდელი ეტაპი ქართველი მწერლების წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს, მაგრამ ეს მოხსენებაში სუსტად იყო გაშუქებული. მომხსენებელმა სიმართლე სთქვა იმ მწერლებზე, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ომში და მართლაც კარგი წიგნები დასწერეს, მაგრამ არ იყო სწორი მისი მოსაზრება არც ჟანრების და არც ქართული ისტორიული რომანების შესახებ. მეტი არ იქნებოდა, რომ ის შეხებოდა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებას“, რომელმაც თანამშრომლად მოიზიდა ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა კვალიფიციური ძალები და შესამჩნევად გაამრავალფეროვანა თავისი შინაარსი.

შემდეგ ორატორი შეეხო მხატვრული თარგმანის საკითხებს. მხატვრული თარგმნის საქმე დღევანდელ პირობებში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს მსოფლიო ლიტერატურის მრავალი შედევრი, ამ მხრივ მოძმე ერებმა—უკრაინელებმა და სომხებმა—დიდად გაგვისწრეს.

საჭიროა უცხო ენები შეისწავლონ ახალგაზრდა მწერლებმა და სერიოზულად მოჰკიდონ ხელი თარგმნის საქმეს. საჭიროა შეიქმნეს მტკიცე მატერიალური ბაზა მაღალხარისხოვანი თარგმნების გამოსაცემად. ამასთან გაიზარდოს პასუხისმგებლობა, რომ კლასიკოსები ითარგმნებოდეს ორიგინალიდან და არა მეორე წყაროდან.

## ფურცლები ფრონტელი მხატვრის ალბომიდან



ეს ჩანახატები შესრულებულია ფრონტზე, მხატვარ კოტე ჭანკვეტაძის მიერ.

პირველი ნახატი, რომელსაც ავტორმა უწოდა „რძის მოყვარულნი". ახლად განთავისუფლებულ სოფლებში ყველას ჰგვრიდა დაშ ცინავ ღიმილს ქურდ-ბაცაცა ფრიცების მიმართ.

მეორე ნახატზე ნაჩვენებია როგორ ჩამოუვლიდნენ ხოლმე ავაზაკი ფრიცები დაპყრობილ სოფელში ყოველდღიურად ქოხებს და მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც კი თვალს მოჰკრავდნენ.

ძარცვა-გლეჯის შემდეგ დაიწყებდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკებას, ჰხოცავდნენ მათ სოფლის მოედანზე. ამაზე მოგვითხრობენ მესამე და მეოთხე ნახატები.

პატარა გოგონა დედას ეძებდა იქ, სადაც წინა დღეს ფაშისტმა არამზადებმა მშვიდობიანი მოსახლეობა დახვრიტეს. ეძებდა გვამებში. ფაშისტებმა გოგონა დააპატიმრეს და მხეცურად აწამეს „ცნობისმოყვარეობისათვის". ამ თემას ეხება მეხუთე ნახატი.

მეექვსე ნახატზე ფრიცები ხელებს მაღლა სწევენ, ტყვედ ნებდებიან მამაც წითელ მებრძოლებს.

---

დოც. გ. სამხარაძე

## „რუსი ხალხი"

### ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში

სტალინური პრემიის ლაურეატის კონსტ. სიმონოვის პიესა „რუსი ხალხი", რომელიც მძაფრი რეალისტური ხერხებით ასახავს რუსი ადამიანების თავგანწირულ ბრძოლას გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების შესამუსრავად, ჩვენი სამშობლოს პატრიოტების გულში უფრო მეტად ამაღლებს მტრისადმი სიძულვილს, სამაგიეროს გადახდის გრძნობას და აძლიერებს სპეტაკ სიყვარულს ჩვენი ქვეყნისადმი, ქედმოუხრელი ამაყი ხალხისადმი.

პიესაში ავტორმა წარმოადგინა მთელი გალერეა გმირებისა, და ეს ადამიანები—კაცი, ქალი, ყრმა, მოხუცი — ერთნაირი ძლიერი გრძნობით არიან დაკავშირებულნი სამშობლოსთან, ხალხთან. მეტად დამახასიათებელ შტრიხს ჰქმნის მოხუცი გლეხი. იგი მხოლოდ ერთხელ გამოჩნდება სცენაზე, მაგრამ მისი დავიწყება შეუძლებელია. პატრიოტიზმის ეს უზრეტი გრძნობა პიესის ძირითადი ლეიტ-მოტივია. იგი ამოძრავებს როგორც მამაკაცებს (საფონოვი, ვასინი, გლობა, პანინი, ილინი, მოროზოვი, ლეიტენანტი, მოხუცი ლუკორინი), ისე დედაკაცებს (მარფა პეტ[illegible]ვნა, ვალია, მარია ნიკოლაევნა, შურა).

ეს დრამატიული ნაწარმოები გამოხატავს მთელი თავისუფლებისმოყვარე ხალხის მტკიცე რწმენას მტერზე საბოლოო გამარჯვებისას. ამიტომ არის, რომ კ. სიმონოვის „რუსი ხალხი" დიდის წარმატებით იდგმება ინგლისისა და ამერიკის თეატრებში.

[illegible]

შინ, აი რას მეუბნებოდა პირადად მე იგი". ამ როლით მსახ. ვ. მევრელიშვილმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო თავისი შინაგანი ტემპერამენტი, ზომიერების გრძნობა, მხატვრული სისადავე. ერთი შენიშვნა: ზოგიერთ მომენტში, როცა ლირიკული განცდის გამოხატვაა საჭირო (მაგ., ალიასთან შეხვედრის დროს), იგი მაინც ხმამაღლა ლაპარაკობს, რაც ეფექტს აკარწყლებს.

მეტად კოლორიტული და სამახსოვრო სახე გამოჰკვეთა გლობას როლის შემსრულებელმა მსახ. შ. პირველმა. მან გლობას განსახიერებით წარმოადგინა გაბედული, ხუმრობიანი რუსი მეომრის იშვიათი სახე. ამ სურათში მსახიობმა დაგვიხატა მტკიცე, ენერგიული, სამშობლოს მოტრფიალე ადამიანი. იგი მშვიდად და სიმღერით მიდის უდიდეს ამოცანის შესასრულებლად. საფონოვი, გახარებული გლობას მამაცური საქციელით, პანინს ეუბნება: „ხომ გაიგონე, როგორ მიდიან რუსი ადამიანები სასიკვდილოდ".

საფონოვის დედის მარფა პეტროვნას როლში დამსახ. მსახიობი ც. ამირეჯიბი ჩვეულებრივად კარგია. იგი მთელი სისავსით გვიხატავს რუსი პატრიოტი ხანდაზმული ქალის სახეს, რომელიც მსხვერპლად შეეწირა სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს. გერმანელ ოფიცრებთან შეხვედრის სცენაში ც. ამირეჯიბი ქედუხრელი და მტკიცეა. მან საჯაროდ შეაჩვენა ისინი. „მიიდოდა შეუმჩნევლად გადავფრენილიყავი [illegible]

---

პროფ. აკაკი ფალავა

## ფრანგი დრამატურგის პიესა საქართველოზე

1944 წლის 21 იანვრის გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება" — № 4 დაიბეჭდა პროფ. ვლ. ორლოვის წერილი: „კარლო გოცის პიესა საქართველოზე". ამ წერილში, სხვათა შორის, შემდეგია ნათქვამი: „თუ არა ვცდებით ეს პირველი შემთხვევაა, როცა უცხოელი დრამატურგი მიმართავს საქართველოს (ლესინგის პიესაში „მინნა ფონ ბარნჰელმ"-ში მეფე ერეკლე მეორის დასახელება ეკუთვნის უფრო მოგვიანო დროს: ლესინგის დრამა დაიწერა 1767 წელს)".

მართალია ლესინგის ხსენებული დრამა 1767 წელს დაიწერა, ხოლო „გველი-ქალი" („ლა დონნა სერპენტე"), რომელსაც გამოუწვევია ვლ. ორლოვის წერილი პირველად 1762 წლის 29 ოქტომბერს იქნა წარმოდგენილი ვენეციაში სანტ-ანჯელოს თეატრში, მაგრამ საქართველო დასავლეთ ევროპის დრამატურგის ყურადღებას მანამდეც იპყრობდა.

ჩვენ არას ვამბობთ ანტიკური პერიოდის შესახებ. არაფერს ვამბობთ მარქსისათვის ესოდენ საყვარელი დრამატურგის — ესქილეს ტრილოგიისა „პრომეთეს" და ევრიპიდეს „მედეას" შესახებ. არც სენეკას „მედეას" გამო, რომელიც ევრიპიდეს გადამღერებას წარმოადგენს.

არაფერს ვიტყვით არც დრამატურგ ანდრეას გრიფიუსის (1616-1664) პიესაზე—„ეკატერინე ქართველი", რომელშიაც შაჰ-აბასის მიერ ქეთევან დედოფლის წამება არის ასახული და რომელიც დაიწერა გოცის პიესაზე მთელი საუკუნით ადრე.

ჩვენ გვინდა ავღნიშნოთ კრებილიონის პიესა, რომელიც 1711 წელს დაიწერა. ფრანგი დრამატურგი პროსპერ ჟოლიო დე-კრებილიონი (1674-1762), რომელსაც კრებილიონ უფროსი უწოდეს, რომ იგი მისი შვილის კრებილიონ-უმცროსად წოდებული კლოდ პროსპერ ჟოლიო დე-კრებილიონისგან განესხვავებინათ, სწერს ტრაგედიას: „რადამისტი და ზენობია"

კრებილიონ — უფროსი დიდი ფრანგი კლასიცისტების — კორნელის, რასინის და მოლიერის მომდევნო დრამატურგია, ე. წ. „სისხლიან ტრაგედიების" ავტორი. კრებილიონი მოღვაწეობდა კლასიციზმის რღვევის პერიოდში ფილიპე ორლეანელის რეგენტობის დროს, როდესაც ფრანგულ მაღალ საზოგადოებაში ფუფუნება და გრძნობადი ტკბობის კულტი დამკვიდრდა. თეატრი მაღალი იდეების ნაცვლად სასტიკ ვნებათა ამსახველი შეიქნა.

მძაფრი სიუჟეტის ძებნაში კრებილიონის ყურადღება მიიპყრო საქართველოს ძველი ისტორიიდან ფარსმან მეფის-ძე რადამისტის თავგადასავალმა (იხ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია", წ. I გვ. 156-158. თბილისი, 1928; ან სულხან ბარათაშვილის—„საქართველოს ისტორია", ნათარგმნი ს. ხუნდაძის მიერ, ტვ. I. გვ. 110-118 ქუთაისი. 1895). რადამისტის თავგადასავალი კრებილიონს შემდეგნაირად აქვს დამუშავებული: იბერიის მეფის ფარსმანის შვილს რადამისტს მკვლელები გამოდევნებიან. რადამისტი ხედავს, რომ მას სიკვდილი არ ასცდება, ამიტომ მახვილს ჩასცემს თავის ცოლს, რათა მას მომავალი უბედურება აასცდინოს და თვითონ აზვირთებულ მდინარეში გადაეშვება. ყველას ჰგონია, რომ ორთავე დაიღუპა, მაგრამ ცოლი ჭრილობისგან განიკურნება და თვითონ რადამისტიც გადარჩება: ათი წლის შემდეგ რადამისტი რომის ელჩის სახით მოევლინება თავისი მამის სასახლეს. აქ იგი თავის ცოლს შეხვდება, რომელიც სასახლეში პრინცესა ისმენას სახელს ატარებს. ერთსა და იმავე დროს ისმენა უყვართ და მისი ცოლად შერთვა სურთ მამასა და ძმას არზამს, რომელთაც არ იციან, რომ იგი მათივე რძალი ზენობიაა. ხოლო რადამისტი დიდი ხანია მკვდარი ჰგონიათ. ზენობია იცნობს თავის ქმარს, არზამიც გაიგებს, რომ რადამისტი დაბრუნდა და ქალი, რომელიც სასახლეში ისმენას სახელით იყო ცნობილი — თურმე მისი რძალი ზენობია ყოფილა. მარტო ფარსმანმა არ იცის ვინ არის ისმენა. დაბრუნებული რადამისტიც მას მართლა რომის ელჩი ჰგონია. ამიტომ როცა გაიგებს, რომ რომის ელჩმა ისმენა წაიყვანაო — დაედევნება და სასიკვდილოდ დასჭრის რადამისტს. მხოლოდ ამის შემდეგ გაიგებს ფარსმანი, რომ მას შვილი შემოაკვდა და თვითონაც თავს მოიკლავს.

ეს ნაწარმოები კრებილიონის საუკეთესო ტრაგედიად ითვლება. „მის ტრაგედიას „რადამისტ და ზენობიას", რომელიც რამდენადმე კორნელს მოგვაგონებს თავისი სიდიადითა და გმირობით, მიუხედავად თავისი რთული და ძნელად გასარკვევი სიუჟეტისა, კოლოსალური წარმატება ჰქონდაო". აღნიშნავს დუბლინის უნივერსიტეტის პროფესორი ედუარდ დაუდენი.¹)

ხსენებული ტრაგედია რუსულად უთარგმნია ს. ვისკოვატოვს და ამ თარგმანის გარჩევა 1810 წელს დაუწერია რუსეთის ცნობილ პოეტს ვ. ა. ჟუკოვსკის. ვ. ჟუკოვსკი დაწვრილებით არჩევს ვისკოვატოვის თარგმანს და სასტიკად აკრიტიკებს, საბოლოოდ სრულიად მიუღებლად აღიარებს, რადგან მთარგმნელს დედანი მეტად დაუმახინჯებია. პიესის შესახებ კი ჟუკოვსკი ამბობს: „თქვენ თუ ბარბაროსი არა ხართ... უნდა იცოდეთ, რომ ეს ტრაგედია კრებილიონისა არის ამ ტრაგიკოსის საუკეთესო ნაწარმოები და ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი ფრანგების ტრაგედიათა შორის"²).

ჟუკოვსკის წერილთან დაკავშირებით 1884 წელს ამ პიესას გამოხმაურებია ქართული პრესა. ილია ჭავჭავაძის ჟურნალში „ივერია" № 4 (გვ. 58-67) დასტამბულია ვრცელი წერილი ალექსანდრე ჭყონიასი „საქართველოს მეფის ძე რადამისტ — მეფე სომხეთისა და კრებილიონის ტრაგედია", რომელსაც ავტორი ასე ამთავრებს: „მალე გვენახოს ეს ჩინებული ტრაგედია, საქართველოს ისტორიის ჩინებულ დროიდან ნიჭიერად დაწერილი საფრანგეთის ცნობილი ტრაგიკოსისაგან, ქართულს ენაზედ ღირსეულად ნათარგმნი".

ამგვარად ლესსინგისა და გოცცის ხსენებულ დრამებზე უფრო ადრე საქართველოს ცხოვრების ანარეკლს დასავლეთ ევროპის დრამატურგიაში ჩვენ მე-17 საუკუნეში ანდრეას გრიფიუსის (1655 წელს) და მეთვრამეტე საუკუნეში კრებილიონ უფროსის შემოქმედებაში (1711 წელს) ვპოულობთ, მაშინ როდესაც კარლო გოცცის ფიაბა „გველი-ქალი" 1762 წელს, ხოლო ლესსინგის დრამა „მინნა ფონ ბარნჰელმი" 1767 წელს დაიწერა. შემდგომი დროის ამბებს ამ წერილში არ ვეხებით.

ქართული და ანტიკური წყაროები (მაგ. ტაციტი) პროფესორ ორლოვისათვის თუ მიუწვდომელი იყო, დასავლეთ ევროპის ლიტერატურა მას უნდა სცოდნოდა, განსაკუთრებით კი რუსული წყაროები: მაგ. В. Латышев: „Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе", СПБ, „История Грузии" — Сулхана Баратова, тетрадь 1. СПБ. 1865 г. стр. 75, სადაც ნათქვამია: „Эта история (მოთხრობილია რადამისტის და ზენობიას თავგადასავალი) послужила французскому писателю Кребильо основанием трагедии, известной под названием „Радамист", Л. Левро: „Драма и трагедия во франции". გვ. 46-47 П. М. 1919 г. ჟუკოვსკი და სხვა...

¹) ე. დაუდენი — „ფრანგული ლიტერატურის ისტორია", გვ. 179 რუს. თარგმ. 1902.

²) ვ. ა. ჟუკოვსკი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 401. რუს. გამოც.

---

### შემოქმედებითი საღამოები

## გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების საღამო

[illegible]ის სახელობის ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტმა აჭარის სახელმწიფო თეატრის შენობაში მოაწყო გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედების საღამო. სახალხო პოეტის შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის დოცენტი ი. კაკაბაძე. პოეტს მიესალმნენ ამავე ინსტიტუტის ლექტორი დ. ჭანტურიშვილი და სტუდენტი დ. რიჟვაძე; ბათუმის მოსწავლეთა სახელით — ე. სიხარულიძე, ლექსები წაიკითხეს ნ. მალაზონიამ, რ. გორგაძემ, გ. სალუქვაძემ.

ბოლოს საკუთარი ლექსები წაიკითხა გალაკტიონ ტაბიძემ.

## გიორგი ლეონიძის პოეზიის საღამო

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის კლუბში 25 მარტს მოეწყო აკადემიკოსის და პოეტის გ. ლეონიძის პოეზიის საღამო. მოხსენებით გ. ლეონიძის პოეზიის შესახებ გამოვიდა დოც. ს. ჭილაია. თანამოხსენებებით გამოვიდნენ თბილისის სახ. უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის წევრები: ე. ამაშუკელი „ლეონიძის ეპოპეის „სტალინი"-ს პირველი წიგნი („ბავშვობა და ყრმობა"), ლ. მენაბდე—„გ. ლეონიძე როგორც მკვლევარი", ვ. ხაზალია—„სამშობლო გ. ლეონიძის პოეზიაში" და დ. აივაზოვი—„ქართველი ხალხის გმირული წარსული გ. ლეონიძის პოეზიაში".

მომხსენებლებმა ვრცლად და საინტერესოდ დაახასიათეს გ. ლეონიძის მდიდარი და მრავალფეროვანი პოეზია და დაგვიხატეს პოეტის მიერ განვლილი პოეტური გზა.

საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ დოც. ს. აბულაძე, ა. ციბაძე, გ. ხუხაშვილი და სხვ. გ. ლეონიძის ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა ვ. გოძიაშვილმა და ნ. ჩხეიძემ, პოეტმა ი. ნონეშვილმა და სხვ. ბოლოს თავისი ლექსები წაიკითხა პოეტმა გ. ლეონიძემ.

უნივერსიტეტის კოლექტივმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს გ. ლეონიძეს.

საღამოს მეორე განყოფილება წარმოადგენდა დიდ კონცერტს. საღამოს მთელი შემოსავალი გადადებულ იქნა სამამულო ომის უდედმამო ბავშვების ფონდისათვის.

## ზ. ფალიაშვილის ნაწარმოებების საღამო-კონცერტი

27 მარტს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის ნაწარმოებთა საღამო. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა პ. ხუჭუამ. პირველ განყოფილებაში შესრულებულ იქნა კომპოზიტორის მიერ ჰარმონიზირებული ხალხური სიმღერები, ხოლო შემდეგ—ნაწყვეტები, არიები და დუეტები ზ. ფალიაშვილის ოპერებიდან „აბესალომ და ეთერი", „დაისი" და „ლატავრა".

ზ. ფალიაშვილის საღამოები ხშირად იმართება, მაგრამ სხვა საღამოებისაგან ეს საღამო განსხვავდებოდა იმით, რომ ზ. ფალიაშვილის სიმღერები („მრავალ-ჟამიერ", „გაფრინდი შავო მერცხალო", „სამშობლო", „იავნანა", [illegible]" და სხვ.), ორკესტრთან ერთად შესრულა ოთხმოცი მომღერლისაგან შემდგარმა გუნდმა.

ეს საღამო იმ მხრივაც იყო საინტერესო, რომ მასში მონაწილეობას იღებდნენ კომპოზიტორის ძმისწულები — ახალგაზრდა დირიჟორი ვახტანგ ფალიაშვილი, რომელიც ოსტატურად წარუძღვა მთელ საღამოს, და მომღერალი იულია ფალიაშვილი (კოლორატ. სოპრანო), რომელმაც ღრმა განცდით შეასრულა არიები ფალიაშვილის ოპერებიდან.

აუდიტორიამ გულთბილად მიიღო ახალგაზრდა შემსრულებელნი ფალიაშვილის მუსიკალური ოჯახიდან, რომელიც ბრწყინვალედ იცავს დაუვიწყარი კომპოზიტორის ტრადიციებს.

---

### მწერალთა კავშირში

## პროზაიკოსთა სექციის სხდომაზე

30 მარტს საქ. საბჭოთა მწერლების კავში[illegible]ს დარბაზში ლეო ქიაჩელის თავმჯდომარეობით შესდგა პროზაიკოსთა სექციის მორიგი სხდომა.

სხდომაზე თავიანთი ახალი მოთხრობები წაიკითხეს მწერლებმა იოსებ ტატიშვილმა, როდიონ ქორქიამ და აკაკი ბელიაშვილმა. სამივე მოთხრობა უაღრესად თანადროულ თემასა და მასალაზეა დაწერილი.

კამათში გამოსულმა მწერლებმა ლეო ქიაჩელმა, დემნა შენგელაიამ, ანდრო ლომიძემ, ლადო ავალიანმა, ნინო დოლიძემ, სოლომონ თავაძემ და ბორის ჩხეიძემ ტატიშვილსა და ქორქიას მიუთითეს მოთხრობის სიუჟეტური აღნაგობის ზოგიერთ ნაკლზე, რასაც ავტორები მხედველობაში მიიღებენ გადამუშავების პროცესში.

დამსწრეთ ერთხმად მოიწონეს აკაკი ბელიაშვილის საყოფაცხოვრებო თემაზე აგებული მოთხრობა „ღირსეული სასჯელი".

---

# ქრონიკა

### „სალტიკოვ-შჩედრინი"

საბლიტგამმა ამ დღეებში გამოსცა ერ. ასტვაცატუროვის წიგნი „სალტიკოვ-შჩედრინი". წიგნი მოგვითხრობს დიდი რუსი სატირიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ავტორი ზუსტად და მკაფიოდ ახასიათებს რუსული რევოლუციური ინტელიგენციის იმ განწყობილებებს, რომელთა ტიპიური გამომსახველი იყო სალტიკოვ-შჩედრინი. ინტერესს იწვევს თბილისის მუშების ვრცელი წერილი, რომელიც მათ გაუგზავნიათ შჩედრინის ქვრივისათვის მწერლის გარდაცვალების დღეებში. ეს წერილი ამხ. ასტვაცატუროვის წიგნში პირველად ქვეყნდება მთლიანად. წიგნის ავტორი სამართლიანად დიდ ყურადღებას აქცევს შჩედრინის სატირის სიმახვილეს და პოლიტიკურ მგზნებარებას, რის გამოც ეს მწერალი ესოდენ უყვარდა დიდ ლენინს. ლენინის ნაწარმოებებში შჩედრინის სახელი გვხვდება სამასზე მეტჯერ. შჩედრინის ციტატებს ხშირად მიმართავს დიდი სტალინი თავის წერილებსა და გამოსვლებში.

წიგნს დართული აქვს სალტიკოვ-შჩედრინის სურათი, შეიცავს 90 გვერდს და ღირს 6 მან.

### „ქართველი მწერლები"

საბლიტგამმა ამ დღეებში გამოსცა ბენო გორდეზიანის მიერ შედგენილი ალბომი „ქართველი მწერლები". ალბომში მოთავსებულია ოცდაცხრა ქართველი მწერლის პორტრეტი, მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით. ალბომში შეტანილია თითქმის ყველა კლასიკოსის პორტრეტი. გამორჩენილია მხოლოდ ლ. არდაზიანი, ვინაიდან მისი სურათი არ არის აღმოჩენილი. ალბომი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, გამოცემულია ლამაზად და ღირს 10 მან.

### „ოცი ძმა"

საბლიტგამმა გამოსცა პოეტ გ. ხეჩუაშვილის ზღაპარი (ლექსად) „ოცი ძმა". წიგნის ყდა და ილუსტრაციები ეკუთვნის მხატვარ ლ. გუდიაშვილს. წიგნი შეიცავს 67 გვ. და ღირს 12 მან.

### გ. შატბერაშვილის პიესა „ბახტრიონი"

საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან არსებულმა სახელმწიფო სარეპერტუარო კომისიამ განიხილა და აკადემიურ თეატრებში დასადგმელად მოიწონა პოეტისა და დრამატურგის გიორგი შატბერაშვილის დრამა „ბახტრიონი". პიესა შეტანილია მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარში. „ბახტრიონის" დადგმა მინდობილი აქვს რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილს.

### ლანჩხუთის თეატრის ახალი დადგმა

უკანასკნელ ხანებში ეგ. ნინოშვილის სახელობის ლანჩხუთის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ა. ცაგარლის დრამა „ლეკის ქალი გულჯავარ". პიესა დასდგა ვ. წულაძემ. მთავარ როლებს ასრულებდნენ: ნ. იმნაძე, ლ. თურმავა, ა. ჯორბენაძე, გ. ებრალიძე და სხვ. სპექტაკლმა დამაკმაყოფილებლად ჩაიარა.

### „ჯარისკაცის დიდება"

თბილისში საგასტროლო კონცერტების მოსაწყობად ჩამოვიდა სსრკ შინსახკომის სასაზღვრო დაცვის ჯარების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ს. შკოლნიკის სამხატვრო ხელმძღვანელობით. ანსამბლის მთავარი ლოტბარია ა. სტეფანოვი, რეჟისორი—ს. ალექსეევი, ცეკვების დამდგმელი—ი. კურილოვი და ი. რომანოვსკი.

ანსამბლის მხატვრული პროგრამა მეტად ვრცელი და საინტერესოა. თბილისის მაყურებელს ანსამბლი უჩვენებს თავის თეატრალიზებულ კონცერტებს—„ჯარისკაცის დიდებას". აქ ასახულია რუსი ჯარისკაცის გმირული მოქმედების სახელოვანი გზა პოლტავის ბრძოლიდან დღევანდელ სამამულო ომის ფრონტამდე. ანსამბლი ამას გარდა, ასრულებს ჯარისკაცების ძველ ხალხურ და საბჭოთა დროის სიმღერებს.

### „სამშობლოს აღზრდილნი"

ფოთის თეატრმა ამ დღეებში თავის მაყურებელს უჩვენა ვ. ვიტრიშჩაკისა და ს. ლაღიძის პიესა „სამშობლოს აღზრდილნი". პიესა გამოხატავს სახალხო პატრიოტიზმის გრძნობით აღსავსე საბჭოთა ადამიანების გმირული ბრძოლისა და მუშაობის ეპიზოდებს. პიესა დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. გოძიაშვილმა, მხატვრულად გააფორმა გ. მილორავამ.

პიესაში მთავარ როლებს ასრულებენ: გ. მილორავა, თ. პოკროვსკაია, მ. გვალია, ს. გორისელი, ლ. უგულავა, ვ. მიქიაშვილი, ი. მაგრაქველიძე, აკ. დობორჯგინიძე, თ. ლორთქიფანიძე.

წარმოდგენა მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს.

### პ. ლორია — „შეხვედრა"

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა პ. ლორიას მოთხრობა „შეხვედრა". წიგნი გამოვიდა ნ. პაიჭაძის რედაქტორობით. შეიცავს 24 გვ. და ღირს 3 მან.

### ნარკვევები ხალხური სიმღერებისა და ხალხური საკრავების ოსტატებზე

ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლის შეკვეთით მწერალმა ლადო გვევეჭკორმა დასწერა ნარკვევები ხალხური სიმღერების შემდეგ ოსტატებზე: ვარლამ სვიმონიშვილზე, არტემ ერქომაიშვილზე, რემა შელეგიაზე, გალაქტიონ ჭელიძეზე, ივანე ჩომახიაზე და ლევან მუღალაშვილზე.

ამჟამად იწერება ნარკვევები სიმღერისა და საკრავების შემდეგ ოსტატებზე: ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებზე მიხეილ კასრაძეზე და მარო თარხნიშვილზე, ორდენოსნებზე კირილე პაჭკორიაზე, ავქსენტი მეგრელიძეზე და ნიკო ხურციაზე. განზრახულია დაიწეროს ნარკვევები ისეთ ცნობილ მომღერლებზე და ხალხური სიმღერებისა და საეკლესიო გალობის მცოდნეებზე, როგორნიც იყვნენ და არიან ანტონ და დავით დუმბაძეები, დიმიტრი ჭალაგანიძე, სოლომონ წერეთელი, რაჟდენ ხუნდაძე, ლომინ გუგუშვილი, კიწი გეგეჭკორი და სხვები. ცნობილ ლოტბარზე ძუკუ ლოლუაზე მონოგრაფიას სწერს კომპ. გრ. კოკელაძე.

ამ ნარკვევების კრებული ცალკე წიგნად იქნება გამოცემული.

---

# მოძმე რესპუბლიკებში

### კაზახეთის სახალხო გმირი ამანგელდი

აპრილში სრულდება 25 წელი, რაც დაიღუპა კაზახეთის სახალხო გმირი, რევოლუციური ბრძოლების და სამოქალაქო ომის მონაწილე ამანგელდი იმანოვი. ქ. ალმა-ატასა და კაზახეთის რაიონებში ამჟამად გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს ამ თარიღების აღსანიშნად. სსრ კავშირის აკადემიის კაზახეთის ფილიალმა გაგზავნა სპეციალური ექსპედიციები იმ ადგილებში სადაც ამანგელდის რევოლუციური მოღვაწეობა მიმდინარეობდა. ჯეზყაზგანის, კუსტაინის და აკმოლინის ოლქებში მივლინებულმა მეცნიერმა მუშაკებმა შეაგროვეს საინტერესო მასალა და დოკუმენტები, რომლებიც გამოსახავენ ამანგელდის და მისი თანამებრძოლების მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპებს და რომელიც ამ ცოტახანში ცალკე კრებულად იქნება გამოცემული.

ამანგელდის ხსოვნის უკვდავსაყოფად შექმნილმა მთავრობის კომისიამ გამოაცხადა კონკურსი კაზახეთის სახალხო გმირის გამოსახატად ფერწერასა, გრაფიკასა და სკულპტურაში. გადაწყვეტილია ამანგელდის ძეგლი დაიდგას ალმა-ატას ერთ-ერთ მოედანზე.

### მხატვრული კონკურსი აზერბაიჯანში

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცდახუთი წლისთავისათვის აზერბაიჯანის სსრ სახკომსაბჭო აწყობს კონკურსს საუკეთესო მუსიკალურ (ოპერა, ბალეტი, მუსიკალური კომედია) და დრამატურგიულ ნაწარმოებზე.

კონკურსის მონაწილეთა წინაშე დასახულია ამოცანა: ძლიერი მხატვრული სახეებით გადმოგვცენ საბჭოთა აზერბაიჯანის ადამიანების გმირული საქმეები ფრონტზე და ზურგში, გამოხატონ აგრეთვე აზერბაიჯანის ხალხის გმირული ისტორია უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლაში.

კონკურსის ჟიურის ხელმძღვანელობს აზერბაიჯანის სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების სამმართველოს უფროსი ამხ. ა. ისკანდეროვი.

### კონკურსი ბაქოს შესახებ დაწერილ საუკეთესო ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებებზე

აზერბაიჯანის კომკავშირის ბაქოს კომიტეტმა გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო ლიტერატურულ მხატვრულ ნაწარმოებებზე, რომელშიდაც ასახული უნდა იქნას ორდენოსანი აზერბაიჯანის დედაქალაქის ბაქოს ახლო რევოლუციური წარსული და თანადროული თავგადასავალი.

---

# უცხოეთის ქრონიკა

### ფილმი „როგორ იწრთობოდა ფოლადი" ნიუ-იორკში

ნიუ-იორკის კინო-თეატრებში წარმატებით უჩვენებენ საბჭოთა კინო-ფილმს „როგორ იწრთობოდა ფოლადი". მაყურებელი უდიდესი აღფრთოვანებით ხვდება მას. პრესა დიდად აფასებს ფილმის შინაარსს და მსახიობთა ოსტატობას. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" სწერს, რომ ფილმი გამოირჩევა „სიმართლის ამაღელვებელი ჩვენებით". გაზეთის აზრით, ამ ფილმში მოსჩანს გმირული და უძლეველი სული რუსი ახალგაზრდობისა, რომელიც ებრძვის და ანადგურებს დღეს გერმანელთა აგრესორების ბრბოს. გაზეთი „პ. მ." სწერს, რომ „რუსების უსაზღვრო ერთგულება თავიანთ საქმისადმი სჩანს არა მარტო წარმტაც კადრებში, არამედ ცალკე დეტალებშიც".

### რუსული მუსიკა მექსიკაში

ამას წინად მექსიკაში მოეწყო რუსული მუსიკის დიდი კონცერტი, რომელზედაც შესრულებულ იქნა რუსული მუსიკის სახელგანთქმული კლასიკური ქმნილებანი და ხალხური სიმღერები. კონცერტის დასასრულს შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. კონცერტი რადიოთი გადაეცა მთელ მექსიკას და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებს.

### „ულრუბლო მაისი"

საერთაშორისო „პენ-კლუბის" თავმჯდომარის, ინგლისელი მწერალი ქალის სტორმ ჯეიმსონის ახალი რომანი „ულრუბლო მაისი" წარმოადგენს საფრანგეთის დაცემის მთელი ტრაგედიის ჩვენების თამამ ცდას იმ მოვლენათა ფონზე, რომელნიც ხდებოდნენ 1940 წლის ზაფხულის დასაწყისში საფრანგეთის პატარა ქალაქში, მდინარე ლუარას ნაპირებზე.

რომანი სამარცხვინო ბოძზე აკრავს ფრანგი ხალხის იმ გამცემლებს, საძულველ მოღალატეებს, რომელთაც დაღუპვამდე მიიყვანეს საფრანგეთის არმია. წიგნის მთავარი ღირსება არის გრძნობის კეთილშობილური სიდიადე, რომლითაც ის გამსჭვალულია, მის ყოველ ფურცელზე სჩანს ულრმესი სიყვარული ფრანგი ხალხისადმი, სჩანს წარმტაცი სურათები საფრანგეთის ლამაზი ბუნებისა, სურათები ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლისა.

ავტორი დიდად ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწეა. მან ჯერ კიდევ ომის დასაწყისში დასწერა წიგნი, სადაც ამხილა გერმანიის ფაშიზმის ყაჩაღური, მტაცებლური მისწრაფებანი და ბნელი, ჯოჯოხეთური საქმეები.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, ბ. ქიქოძე, ხ. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. შიაშელი.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 18, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 8—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფ[illegible] „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 00110